

**Irine Modebadze**

**ირინე მოდებაძე**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **Innovations of Translation Strategies in the Conditions of Cultural Globalization**

### **მთარგმნელობითი სტრატეგიების ინოვაციები კულტურული გლობალიზაციის პირობებში**

In the era of cultural globalization the importance of translation activities has increased. In 2023, Kote Gulisashvili published his new, complete poetic Russian translation of Shota Rustaveli's "Knight in the Panther's Skin". This article considers applied innovations in translation strategies, particularly new techniques of chronological barrier overcoming, approaching of the spatial coordinates to modern geopolitical map, universalization of sociocultural hierarchies system. Our research showed presence of imagological system beyond diversity and confirmed vector change of acculturation: the new translation is oriented to contemporary individuals' globalized mind, being intended for Russian-speaking readers scattered all over the world.

**Keywords:** Rustaveli, Kote Gulisashvili, translation strategies, sociocultural hierarchies

**საკვანძო სიტყვები:** რუსთაველი, კოტე გულისაშვილი, მთარგმნელობითი სტრატეგიები, სოციოკულტურული იერარქიები

თარგმანის მეშვეობით უძველესი დროიდან მიმდინარეობდა არა მხოლოდ ეროვნული კულტურების გამდიდრება, არამედ კულტურათა დაახლოება: მკითხველი ეცნობოდა „სხვას“ – უცხო წეს-ჩვეულებებს, მსოფლაღქმის თავისებურებებსა და კულტურულ საწყისებს (იხ.: Modebadze 2016a, გვ. 304-312). თანდათან იზრდებოდა სოციოკულტურული ფუნქციის მნიშვნელობა. შესაბამისად იცვლებოდა მთარგმნელობითი სტრატეგიებიც (იხ.: მოდებაძე 2010, გვ. 128-135). მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა კულტურული გლობალიზაციის ფონზე. ჩვენი დროის თარგმანები გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით – მთარგმნელები იმყოფებიან მუდმივ ძიებაში და მიმართავენ ინოვაციურ ტექნიკებს (იხ.: Modebadze 2016 b, გვ. 578-588; Modebadze 2012b, გვ. 153-170).

ხშირად ითქმის, რომ თარგმანი ტექსტის „ახალი სიცოცხლეა“, მაგრამ ამ ახალი სიცოცხლის შემოქმედი უკვე არა მხოლოდ ავტორია, არამედ მთარგმნელიც – ის მკითხველს აცნობს ტექსტის საკუთარ ხედვას. ეს ნათლად ჩანს კოტე გულისაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ახალ რუსულენოვან თარგმანში, რომელიც პირველად დაიბეჭდა 2023 წლის დეკემბერში თბილისის გამომცემლობა „Carpe diem“ ში. „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და

გულისაშვილის თარგმანი უკვე მერვე სრული პოეტური თარგმანია. ხუთი შესრულდა XX საუკუნეში: კ. ბალმონტის (1933), გ. ცაგარელის (1937), პ. პეტრენკოს /კ. ჭიჭინაძის მონაწილეობით/ (1938), შ. ნუცუბიძის (1941) და ნ. ზაბოლოცკის (1957), ხოლო XXI საუკუნეში მათ დაემატა კიდევ სამი: გ. დევდარიანის (2004)\*; ა. ხალვაშის (2015) და კ. გულისაშვილის (2023). თავისი ინოვაციებით და ექსპერიმენტალური ხასიათით კ. გულისაშვილის თარგმანი მკაფიოდ განსხვავდება ყველა ადრე შესრულებულ თარგმანისაგან, მაგრამ სანამ მის თავისებურებაზე დავიწყებით საუბარს, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვის თქმა მთარგმნელის პიროვნებაზე.

კონსტანტინე (კოტე) გულისაშვილი დაიბადა 1953 წელს თბილისში. პროფესიით ინჟინერი, წარსულში იყო წარმატებული სპორტსმენი და საერთაშორისო კატეგორიის სპორტული მსაჯი. 1996 წელს გადავიდა საცხოვრებლად ამერიკაში, სადაც ცხოვრობს ვაშინგტონის მახლობლად ქალაქ კოლუმბიაში (Columbia) და მუშაობს მწვრთნელად სპორტულ ცენტრში. დაბადებიდან ბილინგვი (ქართულ/რუსული) კოტე გულისაშვილი პოლიგლოტია – თავისუფლად ფლობს მრავალ ენას. ამჟამად ყველაზე აქტიურად იყენებს ინგლისურს, ქართულს, ესპანურს და რუსულს. არც ფილოლოგია და არც ცნობილი პოეტი, მაგრამ წერს ლექსებს და გატაცებულია პოეტური თარგმანით – თარგმნის ქართულიდან და ესპანურიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად. თარგმანებს აქვეყნებს ინტერნეტში და აქტიურად მონაწილეობს მათ განხილვაში.

\* \* \*

ინტენსიური მიგრაციების პირობებში რუსულენოვანი მკითხველი ცხოვრობს უკვე არა მხოლოდ რუსეთში ან პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მკითხველთა ამ ფართო წრისათვის დამახასიათებელია ბი/ და პოლილინგვიზმი (მშობლიური ენისა და იმ ქვეყნის ენის ფლობა, სადაც ისინი ცხოვრობენ, რასაც სხვა ენების ცოდნაც ემატება). სწორედ ასეთი მკითხველისათვის არის განკუთვნილი ახალი თარგმანი. კ. გულისაშვილის მიერ შერჩეული მთარგმნელობითი სტრატეგიის ერთ ერთი სიახლეა მეტაენის შექმნა. ტექსტი ხასიათდება ლექსიკური და სტილური სიჭრელით, კერძოდ:

1) სიტყვა „*Легион*“ /ლეგიონი/ გვაახლოვებს **რომაულ-ევროპულ** კულტურულ ტრადიციასთან. ის ასოცირდება მეომრების სიმრავლესთან, სამხედრო დისციპლინასთან და მიუთითებს ჯარის სიმრავლესა და უძლეველობაზე (90-450,4; 191-987,1)\*. მოგვიანებით, მეკობრეების სიმრავლეზე საუბრისას იგივე სიტყვა ისევ გვხვდება, მაგრამ უკვე ბიბლიური მნიშვნელობით: «*Легион пиратов*» (202-1051,1). ამავე კულტურულ ტრადიციას უკავშირდება ნესტანის შედარება *ვენერასთან* – უსენის თქმით, ის „ვენერაზე მშვენიერია“: «*Прекраснее Венеры*» (231-1179, 2).

2) **ბერძნულ** მითოლოგიას გვახსენებს რუსული მეტაფორა «*Кануть в Лету*» /გაუჩინარებისა და სიკვდილის მნიშვნელობით/. ნესტანის გაუჩინარებაზე ტარიელი ყვება: «*Деву, канувшую в Лету*» (133-663,2); ავთანდილის წასვლასთან დაკავშირებით ამბობს: «*придется без тебя мне кануть в Лету*» (184-949,4).

3) აღინიშნება **ევროპული** კულტურებისათვის დამახასიათებელი სხვა მარკერებიც. მაგ., ავთანდილი, რომელიც რუსული ტრადიციისამებრ ყველგან მოიხსენება როგორც «*Витязь*», ასევე დასახელებულია «*Странствующий рыцарь*» /„მოხეტიალე რაინდი“/ (36-182,4), რაც შუასაუკუნოვან ევროპულ მწერლობაზე მიგვანიშნებს; ხოლო ნადირობის ეპიზოდზე ნათქვამია «*Королевская охота*» /„სამეფო ნადირობა“/ (195-1002,2) და სხვა.

4) პლანეტების არაბული დასახელება შეცვლილია ლათინური შესატყვისებით: ზუალი→*Сатурн*, მუშტარი→*Юпитер*, მარიხი→*Марс*, ასპიროზი→*Венера*, ოტარიდი→*Меркурий* (187-967-971).

\* გ. დევდარიანის თარგმანის თავისებურებაზე იხ.: Модебадзе, 2012 ა, გვ. 90-103.

\* აქ და შემდგომ თარგმანის გვერდების და სტროფების ნუმერაცია მოცემულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: *Руставели 2023*.

შესაბამისად, ავთანდილზე ნათქვამი მეტაფორის ჟღერადობაც იცვლება: „*მარიხის გულით*“ (831,3)\* → «*С Марсом в сердце*» (165-850,3).

ნათელია, რომ მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალურად მოარგოს აღმოსავლური ცნებები ევროპეიზებულ ცნობიერებას.

5) თვალშისაცემია სინონიმების სახით ქრისტიანობის სხვადასხვა კონფესიაში მიღებული *ბოროტი სულის* აღნიშვნელ სიტყვათა გამოყენება – ორიგინალში ნახსენები „ემმას“, „ემმასკა“ და „დევეზს“ ემატება «*падший ангел*» /რუსულ ტრადიციაში ამ სახელით *ლუციფერს* ან *სატანას* ახსენებენ/ (25-122,3); «*бес*» (108-536,3); «*сатана*» (119-580,2, 239-1222,1); «*черт*» (24-113,3) და «*злой дух*» /დევეზზე/ (133-660,2).

6) ამას ემატება რუსულში ევროპული ენებიდან გადმოღებული სიტყვები: «*Пиратский лайнер*» /მეკობრეების გემზე/ (204-1062,1); «*Купеческая элита*» (205-1067,2); «*такое финал!*» (107-533,2); «*Арсенал вооружений*» (269-1376-2); «*Комплект*» /აბჯარზე/ (270-1380-4); «*отдать швартов!*» (205-1069,2); «*Конфуз*»; «*устраивать скандал*» (294-1498,1); «*Военный корпус*» (249-1281,3); «*песни зазвучали под орган*» (290-1472,1); «*литавры заиграли*» (297-1516,1); «*завершилась эпопея*» (322-1658,1); ტარიელის ნათქვამში ჟღერს «*Свято чтим их манифест*» (156-799,2), «*стальной жилет*» (113-660,3) და სხვა.

ვინაიდან რომაულ ენებში ყველა ეს სიტყვა მსგავსი ჟღერადობისაა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მიეკუთვნება საერთაშორისო ლექსიკას, ხოლო რუსთველის ტექსტთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმებია.

7) მრავლად გვხვდება არქაიზმები: *лик, стан, рать, посул, древо, чрево, огниво, недосуг, стан, рать, десница, складный, недуг, чело, злато, вежды, мытарство, дичина, молвил, поведать, вспомнить, узреть, бередить, сей /этой/, доколь* და ა.შ. ნაკითხი მკითხველისათვის ისინი რუსული კლასიკური ლიტერატურიდან კარგად ნაცნობია და მათი მნიშვნელობის გაგება პრობლემას არ წარმოადგენს. ასევე კონსტრუქტ-ნეოლოგიზმები, მაგ. «*вороний сход*» /“*ყვავების შეკრება*“, «*Проблемы бьют ключом*».

8) არც რუსული იდიომები და გამოთქმებია დავიწყებული: «*Попал впросак*» (265-1352,3); «*Меч-чародей!*» (269-1377-3); «*Устроил баню*» (272-1393,2); «*Даром труд мой пропадет!*» (262-1340,4); «*в грязь лицом*» (278-1411,4); «*Словно мощи во гробах*» (269-1378-4); «*судьба лихого парня в горемыку превратит*» (132-658,4)-/ტარიელზე/ და სხვა.

9) საყურადღებოა ფარსადანის ტარიელისათვის ნათქვამი: «*Достоин шубы с царского плеча*» (97-492,1). მეფის ქურქით ქვეშევრდომის დაჯილდოება რუსეთის სამეფო კარის ძველ წეს-ჩვეულებას გვახსენებს.

10) თვალსაცემია რუსეთის იმპერიაში მიღებული მიმართვა «*Господа*», რომელსაც ხშირად იყენებენ პოემის გმირები – ის მიუთითებს მათ მაღალ სოციალურ სტატუსზე.

11) ამ ლექსიკურ მიქსში ზოგჯერ გაისმის საბჭოთა რიტორიკაც: «*Господа китайцы*» (78-394,1); «*Так ударим по Китаю!*» (89-446,4). აღსანიშნავია, რომ მტრული, აგრესიული განწყობის ნიშნად მსგავსი გამოთქმები მხოლოდ ხატაელთა მიმართ ჩნდება. ცნობილ საბჭოთა სტერეოტიპებს გვახსენებს როსტევანის ხსენება, როგორც «*вождь*»-ისა /„ბელადი“/: «*вождь верховный*» (304-1557,1); «*мудрейший из вождей*» (11-39,1); ამას ემატება ანაქრონიზმები, მაგ., ცნება «*рабочий*» (4-11,2) და სხვა.

12) გარდა ლექსიკურსა, გვხვდება სტილური სიჭრელე – კერძოდ, სასაუბრო („разговорная“) და ხალხური (ე.წ. „просторечия“) ლექსიკური მასალა: *платице* (106-527,3); *зверюги* (128-631,1); *аж страх* (281-1426,3); *покуда* (124-608,3); *пошиб* (272-1392,1) და სხვა.

\* აქ და შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების ნუმერაცია მოყვანილია შემდეგი გამოცემის მიხედვით: *ვეფხისტყაოსანი 1966*.

13) ნარატივში ჩართულია თანამედროვე გამოთქმები: «Я с Фридоном открывали там охотничий сезон» (128-628,1); «Игра /судьбы/ без правил» (256-1308-4); «Шермадин ему поведал сводку всех домашних дел» (137-683,1); «Поле беговое» /„სარბენი ველი“/ (275-1403,3) და ხელოვნურად შედგენილი კონსტრუქტები: «Автандил военачальник, ратного министра сын» (11-41,1); «Торговый фраз» /„სავაჭრო ფრაკი“/ (206-1071,2); «слово-шик» (150-765,4). ზოგი გამოთქმა უახლოვდება თანამედროვე სლენგს: «Улизнуть помог мне» (ნესტანი) (236-1209,1); «Час разлуки их напряг» (135-674,1); «врага дери!» (278-1413,2); «кровь врагам пустил» (24-114,2; 281-1425,2) და სხვა.

14) იგრძნობა პოლილინგვიზმის გავლენა, მაგ., ავთანდილისა და თინათინის ქორწილის ეპიზოდში ვკითხულობთ: «К чему смущаться королеве И первой даме?» /ნათქვამია თინათინზე/ (303-1552,3). რუსული კულტურული კონტექსტისათვის ეს წინადადება სრულიად უცხოა. მოიცავს განსხვავებულ კულტურულ ცნებათა შერწყმას: თუ «Королева» მიგვანიშნებს ევროპულ სამეფო კარზე, «Первая дама» ინგლისურიდან კალკირებული წოდებაა: «Первая дама» /„პირველი ქალბატონი“/ იგივეა, რაც The First Lady /“პირველი ლედი“/. თანამედროვე რუსეთში ეს წოდება იხმარება აშშ-ს და ევროპული ქვეყნების პრეზიდენტების მეუღლეების ოფიციალური ხსენებისას.

ლინგვისტური ტრადიციების რღვევა – კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია (იხ.: Modebadze 2013, p. 101-109). ენობრივი ექსპერიმენტებით მთარგმნელი არა მხოლოდ არღვევს კულტურულ ბარიერს, არამედ თანამედროვე მკითხველსა და ძველ ტექსტს შორის არსებულ დრო-სივრცული დისტანციის მოშლასაც ცდილობს. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში პოეტურ ალმანახში „45-я параллель“ დაბეჭდილ იური ლიფშიცის რუსთაველის პოემის ნაწილობრივ თარგმანშიც (977 სტროფი) დაძველებული სიტყვები და აღმოსავლური ცნებები თანამედროვე ლექსებში ან თარგმანითაა შეცვლილი, მაგ.: «О Муштар – Юпитер грозный»; «О Зуал – Сатурн» და სხვა (Руставели 2022).

ამავე პრინციპს ექვემდებარება პოემაში მოქმედი მეფეების ტიტულების თარგმანი. ტრადიციულად რუსულენოვან თარგმანებში მეფის ტიტული გადმოიცემა სიტყვით «Царь», მაგრამ კ. გულისაშვილთან გაცილებით მეტი ტიტულია ნახსენები: Монарх, Владыка, Повелитель, Государь, Властелин, Правитель, Кесарь, Царь, Король. ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ამ სიმრავლის მიღმა იმაგოლოგიური სისტემის არსებობა. მეფე-გმირების ტიტულებით მარკირება არა მხოლოდ იერარქიულ, არამედ კულტურულ სხვაობას აღნიშნავს, რაც რუსულენოვანი მკითხველისათვის სრულიად ნათელია და პოემის გაგების /ინტერპრეტირების/ გარკვეულ განწყობას ქმნის.

პოემის პროლოგის /„დასაწყისის“/ პირველივე ტაეპში ნათქვამია: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთია“ (1,4). კ. გულისაშვილთან „ხელმწიფე“ თარგმნილია როგორც «монарх»: «И во всех земных монархах ты свой образ воплотил» (3-1,4). თარგმანის სრული ტექსტის წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ ეს „სინონიმური“ ცვლილება კონცეპტუალური ხასიათისაა და უკავშირდება ხელისუფლების იმაგოლოგიას. მონარქი – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის უმაღლესი წოდებაა. ამ ტიტულს მხოლოდ იმპერატორის, კაგანის და შაჰინშაჰის (ფადიშაჰის) ტიტულები უტოლდება. ყველა სხვა დანარჩენი (ცეზარი, კაიზერი, ფარაონი, ქალიფი, ევროპული „კოროლ“ და სლავური „ცარ“) უფრო დაბალ წოდებად ითვლება. ჩნდება ქვეტექსტი – პოეტის ნათქვამში იგულისხმებიან მხოლოდ რჩეული ხელმწიფეები. ეს აზრი ტექსტშია გაშლილი, სადაც მონარქად მოიხსენება მხოლოდ როსტევანი (6-ჯერ). ამ ტიტულით ის მკაფიოდ გამოირჩევა პოემის სხვა მეფეებისაგან. მართალია ერთხელ «монархи» ფარსადაანზე და მის მეუღლეზეა ნათქვამი (105-518,1), მაგრამ კონტექსტიდან ნათელი ხდება, რომ ამ ტიტულით მხოლოდ ტარიელის ხედვა გამოიხატება /პატივისცემა მათ მიერ/.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სიტყვა Патрон. რუსულში მიღებული ცნება პატრონაჟი (ფრანგ. patronage – მფარველობა) უკავშირდება სოციალური დახმარების თანამედროვე ინსტიტუტებს,

ხოლო მეფის აღნიშვნელად «патрон» არსად გვხვდება და ასოცირდება პატრონობის ძველ რომაულ სოციო-კულტურულ ტრადიციასთან. ქართულ კულტურულ მენტალობაში შენარჩუნებულია არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მისი მნიშვნელობაც – ქვეშევრდომის დაცვა-მფარველობა. სწორედ ამ მნიშვნელობით მოიხსენებენ *ტარიელს* (190-980,4) და *ნურადინ-ფროდონს* (132-658,1) მათი მსახურები; ავთანდილი ასმათის პატრონად მიიჩნევს *ტარიელს* (166-853,1). როგორც წესი, თარგმანებში გადმოიცემა როგორც *хозяин/господин*, მაგრამ გულისაშვილის ტექსტში ის ნათარგმნი არ არის, მაგ.: „*პატრონი, ნეტარ, სად არის და ვითა?*“ (834,1) – «*Где патрон и как он тут?*» (166-853,1); „*პატრონი ჩემი გამზრდელი*“ (847,1) – «*мой патрон, мой воспитатель*» (168-866,1). გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ *მეფე როსტევანს* „*პატრონად*“ არა მხოლოდ ავთანდილი, არამედ მისი ქვეშევრდომებიც მოიხსენებენ, ანუ ამ ერთი სიტყვით გამოხატულია მისი მმართველობის ჰუმანური ხასიათი.

საყურადღებოა ცნება **Владыка**-ს გამოყენება. ძველი სლავურიდან მომდინარე ეს სიტყვა მოიხმარება ლოცვებში (ღმერთთან მიმართებაში – «*Владыка небесный*»). ასევე ნიშნავს სასულიერო პირის იერარქიას (*архиерей-ს* და *митрополит-ს*), მაგრამ თანამედროვე რუსული ენის აქტიურ ლექსიკონში ხშირად ჟღერს ძლევამოსილი *ბრძანებლის* მნიშვნელობით. თარგმანში სიტყვით **Владыка** 15-ჯერ წოდებულია *როსტევანი* (13-51,2; 14-43,1; 14-60,2; 14-61,4; 14-57,4; 14-65,1; 19-89,1; 22-103,4; 23-107,1; 23-109,2; 32-163,1; 161-823,2; 297-1512,2; 298-1520,3; 301-1539,2); 5-ჯერ *ფარსადანი* (62-319,1; 95-474,2; 110-550,1; 161-823,2; 162-828,3); ერთხელ *თინათინი* – «*Владычица*» (12-49,1) და ერთხელ *მელიქ სურხავი* – «*Владыка морей*» (285-1445,1). ყველა ამ შემთხვევაში ხაზი გასმულია მათ ძალაუფლებასა და ძლევამოსილებაზე. დანარჩენი ტიტულები შემდეგნაირადაა განაწილებული:

მხოლოდ *როსტევანს* ეწოდება **Повелитель** /მბრძანებელი/ – 6-ჯერ (14-62,1; 25-123,3; 25-123,2; 137-686,1; 194-1001-1) და **Государь** /ხელმწიფე/ – 4-ჯერ: (15-68,1; 17-76,1; 24-116,2; 30-150,2).

**Правитель** – ითქმის *როსტევანზე* – 4-ჯერ (9-34,1; 57-294,2; 59-299,1; 137 – 686,1); *ავთანდილზე* – 2-ჯერ (30-153,3); (35-181,4) და ერთხელ *ფარსადანზე* (62 – 319,2).

**Властелин**. *როსტევანი* – 3-ჯერ: (19-88,1; 57-292,1; 163-837,1); *ფარსადანი* – ერთხელ (119-579,1); *რამაზ-მეფე* *ქერთხელ* (81-406,1).

*რამაზ-მეფე* 2-ჯერ წოდებულია *Хан*-ად (86-427,2); (87-434,1) და ერთხელ «*китайский хан*»-ად (93-469,3). *ხვარაზმმა* წოდებულია «*шах Хорезма*» (104-517,3); (108-539,1) და «*Хорезм-шах*» (105-519,1; 105-521,2; 107-531,1; 111-თავის სათაურში; 115-571,3). ყველა დანარჩენი მეფე ტრადიციისამებრ წოდებულია **Царь**-ად:

**სარიდანი** 7-ჯერ: (62 – 317,2; 63-320,3; 73-371,3; 73-372,1; 73-372,2; 73-373,1; 73-374,3);

**რამაზ-მეფე** 7-ჯერ: (81-407,1); (87-436,4); (88-441,1); (89-445,2); (89-448,2); (89-449,1); (95-474,1) და 2-ჯერ «*царь китайский*» (93-471,1); (95-475,1).

**ფარსადანი** 40-ჯერ: (62-316,3; 63-320,2; 66-334,1; 66-337,1; 68-346,2; 68-349,1; 69-356,1; 71-361,3; 71-361,1; 71-362,2; 71-363,2; 72-367,3; 72-368,3; 78-393,2; 93-469,1; 95-479,1; 96-480,3; 96-481,1; 96-483,4; 96-485,3; 97-489,4; 97-497,1; 97-492,1; 98-494,1; 105-519,3; 105-520,1; 105-520,3; 107-534,2; 108-539,1; 110-550,1; 110-550,1; 115-567,3; 119-578,2; 119-578,3; 119-581,1; 119-581,3; 257-1316,2; 292-1486,2; 69-355,2; 104-513,3). ერთხელ წოდებულია **Кесарь** (63-321,4), რაც რუსულში იდენტური მნიშვნელობისაა (რუსული *Царь* წარმოქმნილია ლათინურიდან: *Caesar – Цезарь, Кесарь*).

**ნურადინ-ფრიდონი** 8-ჯერ: (123-606,2; 190-978,1; 190-980,1; 190-981,2; 190-982,2; 191-987,3; 272-1387,1; 272-1389,3) და ერთხელ პატივისცემით «*Царь царей*» (260-1327,1).

ტიტულით **Царь** 14-ჯერ წოდებულია *ტარიელი*: ასე მას უწოდებენ *ავთანდილი* (288-1466,3; 292-1484,2; 300-1532,3; 318-1641,4) და *ფრიდონი* (130-642,2; (1268-1371,1; 298-1521,4 –/«*индов царь*»/); 308-1585-2; 319-1645,1 – /«*Царь индов*»/; (129-638,3 – /«*Ты, великий царь индийский*»/; (131-647,3); (298-1522,4 – «*царь Индостана*»). თავის თავზე თვითონაც ამბობს: «*Амирбар я, царь*» (73-371,2); «*Предрекаю: Индостаном кто бы ни повелевал, Все равно царем реальным буду я, таков финал!*» (107-533,2).

შესაბამისად მოიხსენებიან სამეფო ოჯახის წევრებიც: **Царица** – *ფარსადანის მეუღლე* (63-323,1; 63-326,1; 71-358,4; 71-361,3; 97-487,2; 98-494,3; 105-519,1; 105-520,3 – /«царица-мать»/), *ნესტან-დარეჯანი* – **Царевна**: (68-347,2; 79-401,3; 83-416,2; 108-535,2; 110-552,4), ან «*дочь-царица*»: (96-482,2; 108-538,1; 110-550,1) და ა.შ.

თუ ამ ციფრებს დავაკვირდებით, ნათელი ხდება, რომ უმაღლესი ტიტულებით დაჯილდოვებულია მხოლოდ **როსტევანი**, მაგრამ მისი სხვებისგან სხვაობა ამით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელმა მხოლოდ *როსტევანს* მიაკუთვნა ტიტული **Король** – 67-ჯერ: (11-43,1; 11-44,1; 12-47,1; 12-48,3; 13-52,3; 14-58,4; 15-67,1; 17-77,2; 18-84,1; 19-90,3; 21-94,1; 22-98,4; 22-99,1; 22-100,1; 23-104,1; 23-105,4; 25-118,1; 25-122,1; 25-123,1; 29-147,3; 30-151,1; 57-295,2; 137-685,1; 137-686,3; 137-688,1; 138-689,1; 137-691,2; 137-692,3; 144-727,3; 144-728,1; 148-754,1; 149-758,2; 149-759,1; 149-762,1; 150-769,3; 151-772,2; 151-777,1; 155-795,1; 156-796,2; 158-809,1; 159-816,1; 159-818,2; 161-826,2; 162-830,1; 162-831,1; 163-836,1; 195-1003,1; 195-1004,1; 196-1012,1; 247-1271,2; 248-1272,4; 294-1497,3; 297-1512,2; 297-1517,1; 298-1524,1; 298-1524,3; 299-1525,1; 299-1526,2; 299-1528,1; 300-1532,1; 300-1536,3; 301-1537,4; 301-1538,1; 301-1539,1; 308-1584,1); /«Король великий»/ (11-44,1 ); /«Король всех королей» – *მეფეთა მეფე*/ (29-146,4). მართალია, ერთხელ მასზეც ნათქვამია **Царь**: «*Царь мне некий повстречался*» (54-275,2), მაგრამ ტარიელის ეს სიტყვები ნადირობისას მისთვის უცხო მეფის დანახვის შესახებ არის ნათქვამი და არ ახასიათებს პიროვნებას.

	როსტევანი	ფარსადანი	სარიდანი	ავთანდილი	ტარიელი	ფრიდონი	რამაზ-მეფე
Монарх	6	1					
Владыка	15	5					
Повелитель	6						
Государь	4						
Властелин	3	1					1
Правитель	4	1		2			
Хан							3
Царь	1	41	7		14	9	9
Король	67						

რა თქმა უნდა, მეფეთა სხვადასხვა ტიტულით მოხსენიება შესაძლოა ინტერკულტურული დისკურსის, ანუ პოემის უნივერსალიზაციის ნიშნად მიგვეჩნია, რომ არა მნიშვნელოვანი ქვეტექსტი. რუსული **Царь** სლავური /მართლმადიდებლური/ სამყაროს (რუსეთის, ბულგარეთის და სერბეთის) მეფეთა ტიტულია. რუსული სალიტერატურო ტრადიცია მას არაევიროპელ მონარქებსაც ანიჭებს და ის ხშირად გაისმის ზღაპრებში, მაგრამ ტიტული **Король** მხოლოდ დასავლეთევიროპელ მეფეს გულისხმობს. ტიტულებით მარკირებულ სხვაობას აძლიერებს ევიროპული კულტურისთვის დამახასიათებელი სიტყვა **Вассал**, რომელიც მხოლოდ ავთანდილზე ითქმის: «*вассал Тинатин*» (139-697,4), «*вассал Ростевана*» (293-1493,4) და გამეფების შემდგომ თინათინის **королева**-თი წოდება.

*როსტევანი* პროგრესულად მოაზროვნე, წინდახედული მონარქია. ის დასავლეთევიროპელ ხელმწიფეებთანაა გათანაბრებული, ხოლო ტრადიციული, დროის მოთხოვნებს ჩამორჩენილი *ფარსადანი* და სხვა დანარჩენი – სლავურ სამყაროს. ეს პრინციპი დაცულია ყველა პერსონაჟის მიმართ (ტარიელი /«Царь Индостана»/ «*Индов царь*», «*Царь индийский*»/, *ნესტან-დარეჯანი* /«Царевна»/, *ფრიდონი*, *გულანშაროს მეფე* *მელიკ სურხავი* /«*царь морей*»/, „ქაჯეთის მეფე“ *დულარდუხტი* /«царица»/). ორიგინალში ყველა მათგანი „მეფეებად“ არიან წოდებულნი. გამონაკლისია ერთხელ რამაზ-მეფის „ხანად“ ხსენება /„*რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთის ხანია*“ (414,2)/, რაც თარგმანშიც დაცულია.

თვალნათლად ჩნდება კონტრასტული ოპოზიცია – ალუზია ცნობილ დიქოტომიაზე „დასავლეთი – აღმოსავლეთი“. ამ კონტექსტში სხვაგვარად გაიგება ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მიერ ხვარაზმშას ძის მკვლელობაც; ეს არარაინდული ქმედება ძალადობაზე აგებული „ჩამორჩენილი“ (არა დემოკრატიული/ტოტალიტარული) კულტურებისათვის დამახასისთებელი ქცევის მოდელის ლოგიკური შედეგია. პოლიტიკურ ჭრილში დასავლურ-ცივილიზაციური სოციო-კულტურული პრიორიტეტი გაიგება როგორც *პროგრესი ↔ კონსერვატიულ-რეაქციული ტრადიციონალიზმი*.

მნიშვნელოვანია თინათინის და ავთანდილის ქორწილის ეპიზოდის თარგმანი. ავთანდილი „ზრდილი მეფეთა შვილობით“ (980,3) როსტევეანის სულიერი მემკვიდრედაა წარდგენილი: «*Автаңдил рос как корольи растут*» (194-1001,3). თინათინის გვერდზე ტახტზე ასულს (1554) როსტევეანი მასაც უწოდებს «король»: ამიერიდან ავთანდილი არა მხოლოდ არაბეთის კანონიერი მეფეა, არამედ როსტევეანის პოლიტიკურ-სოციალური მმართველობის გამგრძელებელიცაა. ამას ფრიდონიც ხვდება – ტახტზე აყვანილ ავთანდილში ის როსტევეანივით რჩეულ *მონარქს* ხედავს: «*Царь Фридон, друг Автаңдила, зрит монарха в побратиме*» (305-1564,4).

საინტერესოდ მიგვაჩნია პოემის მხატვრული სივრცის ტრანსფორმირება. ინოვაციურია და არატრადიციულ შედეგს იძლევა *განზოგადების, კონკრეტიზაციისა და აზრობრივი გატოლების* მორგება ტოპონიმების ტრანსფერზე. კერძოდ: თანამედროვე რუსულში მიღებული შესატყვისით ითარგმნა: *ხვარაზმი → Хорезм*; რუსთველის *ინდოეთი* თითქმის ყველგან მოიხსენება როგორც *Индостан*; *ხატაეთი* შეცვლილია *ჩინეთით/Китай*/.

მხატვრული სივრცის დეკონსტრუქციის მიზეზები და შედეგი იმდენად რთული საკითხია, რომ ჩვენ მას ცალკე წერილი მივუძღვენით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმების შეცვლა/თარგმანი და პოემის სივრცული კოორდინატების დაახლოება თანამედროვე პოლიტიკურ რუკასთან ამარტივებს ნაწარმოების მხატვრული სივრცის გაცნობიერებას. გარდა ამისა, ნათელი ხდება ტექსტის უნივერსალობა: ირდევია ქრონოლოგიური ბარიერი, მხატვრული სივრცე ფართოვდება – რუსთველის დროინდელი ცივილიზებული გეოკულტურული არეალი კულტურული გლობალიზაციით გახსნილ თანამედროვე უსაზღვრო სამყაროს უტოლდება და თანამედროვე ერთობლივი კულტურული სივრცის ნაწილად იქცევა. ასეთი გაფართოება გარკვეულ დაზუსტებასაც /კონკრეტიზაციას/ მოითხოვს – ქსენოფობიის გამოსარიცხად საჭირო ხდება ზოგ ეპიზოდში დისტანცირება თანამედროვე ერებისაგან. ამისათვის მთარგმნელი მიმართავს კონკრეტიზაციას: *ხატაეთი → ჩინეთი* გამორიცხავს თანამედროვე თურქულ *ხატაეთთან* რუსთველისეული *ხატაეთის* გაიგივებას; *თურქები → სელჯუკები/сельджуки*/ აზუსტებს, რომ საუბარი არ ეხება თანამედროვე თურქეთის მოსახლეობას:

*„აღაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქლსა“ (55,1)  
«Представлялось что разграблен их заклятый враг – сельджуки!» (13-56,1)*

\* \* \*

რა თქმა უნდა, მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია ყველა გამოვლენილი ინოვაციის განხილვა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმისათვის რომ დავასკვნათ:

1. წინანდელ თარგმანებთან შედარებით გულისაშვილის ტექსტში მკაფიოდ იგრძნობა *დო-მესტიკაციის ვექტორული ცვლა*: თუ XX საუკუნეში თარგმანი ითვალისწინებდა საბჭოურ მენტალობას, ახალი თარგმანი მიგრანტთა პოლილინგვურ ცნობიერებაზეა გათვლილი.
2. აქტიურად მიმდინარეობს კლასიკური თარგმანის მხატვრულ-ესთეტიკური ნორმების ტრანსფორმირების პროცესი.

რაც შეეხება შექმნილი ტექსტის მხატვრობას, იგრძნობა პოსტმოდერნისტული დისკურსის გავლენა\*: კლასიკური მთარგმნელობითი ნორმების უარყოფა და მთარგმნელის თვითგამოხატვის თავისუფლება. „ყველაფერი დაშვებულია!“ (რა თქმა უნდა, გარდა სიუჟეტის შეცვლისა). სტერეოტიპები ირღვევა, მაგრამ ამავედროულად (პოემის სათაურის თარგმანით დაწყებული) გამოიყენება ტრადიციულ შტამპებზე დაქვეყნებული მზა ლინგვისტური ბლოკები; მრავლად შეინიშნება ენობრივი და სტილური ექსპერიმენტები. მთარგმნელობით სტრატეგიაში არც თამაშის პრინციპია დავიწყებული: მთარგმნელი იწვევს მკითხველს სიტყვიერ თამაშში. ირონიული ნარატივის ჩართვებით ტრანსფორმირდება კლასიკური ნარატივი და ზოგი მონაკვეთი ემსგავსება სიმულაკრს, ზოგჯერ პასტიშსაც უახლოვდება.

გასულ წლებში კ. გულისაშვილის თარგმანის ცალკეული თავები ქვეყნდებოდა ფეისბუქში სპეციალურად შექმნილ გვერდზე «Поэзия Руставели». მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან უამრავმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა თარგმანის განხილვაში, მათ შორის დიდი რაოდენობით უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა. გამოხმაურებაში გვხვდება ინტერნეტის ენით დაწერილი „ლაიქები“: «Великолепно! Хороший перевод!» – Нана Этерия (Москва); «Супер!!!» – Алла Есаян (Ереван); «Перевод прекрасен, поэма супер!!!» – Ольга Харламова (Украина, **Кривой Рог**) და ა.შ. **მკითხველთა აზრით**, «Надо быть филологом, чтобы понимать все языковые проблемы. Но можно быть просто душевным – чтобы чувствовать смысл» □ Ирина Овчинникова (Украина, Черкассы).

ჰ.გ. გადამერის თქმით, „ყველა ეპოქას თავისებურად ესმის მის დრომდე მოღწეული ტექსტი <...> ნებისმიერი თარგმანი უფრო ნათელი და პრიმიტიულია, ვიდრე ორიგინალი“ (Еремишин, 2006). კულტურული გლობალიზაცია მოითხოვს იდეებისა და ეროვნული კულტურული ფასეულობების გატანა-გავრცელებას მთელ მსოფლიოში. ახალი მნიშვნელობა მიენიჭა ეროვნული მწერლობის პოპულარიზაციას. რა გასაკვირია, რომ პოპულარიზატორთა ყურადღების ცენტრში მოექცა „ვეფხისტყაოსანი“. თანამედროვე ინოვაციური საგამომცემლო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდა პოემის არაერთი გამოცემა (იხ.: Модебадзе 2017, გვ. 218-230), რომ არაფერი ვთქვათ დავით მაჭავარიანის გრაფიკულ რომანზე (2019, გამოცემულია 3 ენაზე).

ყველა ეს გამოცემა ითვალისწინებს თანამედროვე მკითხველის გემოვნებას, რაც გულისხმობს გლობალიზებული ცნობიერების თავისებურების გათვალისწინებას. ამას მოჰყვება დომესტიკაციისა (კულტურული ადაპტირების) და ეროვნული ფასეულობების გარკვეული უნიფიკაციის მნიშვნელობის ზრდა. შედეგად სხვა ეროვნული კულტურის წარმომადგენლებისათვის გასაგები ხდება პოემის სიუჟეტი და ძირითადი იდეები, მაგრამ ნაწილობრივ იკარგება ქართველთა ეროვნული ფასეულობების რუსთველისეული გაგება. მათ ენაცვლება ახალი ქვეტექსტები და თანამედროვე სინამდვილესთან დაკავშირებული ალუზიები.

და ბოლოს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად შესაძლებელია ტექსტის ეროვნული სულიერების შენარჩუნება და მისი უცხო მკითხველამდე მიტანა, თუ მთარგმნელთა და გამომცემელთა პრიორიტეტად მხოლოდ პოემის უნივერსალობა იქცევა? შესაძლებელია ამ გზით მსოფლიო კულტურისათვის ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის თავისებურებათა გაცნობა? ტექსტის უნივერსალობა მსოფლიო ლიტერატურის ძეგლთა ერთერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, მაგრამ თუ ის პოპულარიზაციის ერთადერთ ფასეულობად იქცა, შედეგი, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს ეროვნული მწერლობისათვის.

დრო გვიჩვენებს, თუ რა სტრატეგიებს აირჩევენ მომავალში და როგორ რუსთაველს გააცნობენ მკითხველს მთარგმნელები და გამომცემლები...

\*„ვეფხისტყაოსნის“ პოსტმოდერნის ინტერპრეტაციებზე იხ.: (Модебадзе, 2016d, გვ. 388-399).



## გამოყენებული ლიტერატურა:

- „ვეფხისტყაოსანი“, ორ ტომად (1966), ა. შანიძისა და ა. ზარამიძის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“.
- მოდებაძე, ი. (2010). „გაუმარჯოს გაგებას!“ ინტერპრეტაციები თემაზე: ლინგვოკულტუროლოგია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კროსკულტურული ლინგვისტიკა, კულტურათა დიალოგი, „*სჯანი*“, 11, 128-135. Tbilisi: Institute of literature press.
- Еремишин, О. (2006). *Афоризмы. Золотой фонд мудрости*. (Ханс Георг Гадамер). Москва: «Просвещение». <http://rus-yaz.niv.ru/doc/aphorisms-eremishin/fc/slovar-213.htm#zag-1150>
- Modebadze, I. (2013). The national language image of the world and the processes of cultural globalization. *Socialinių Mokslų Studijos*, 5 (1), 101-109. ISSN 2029-2236 (print), ISSN 2029-2244 (online)
- Модебадзе, И.И. (2017). «Витязь в тигровой шкуре»: специфика современных переводов поэмы Шота Руставели на русский язык, *Актуальные проблемы литературы и культуры*, 8, 218-230. Ереван: «Лингва».
- Модебадзе, И. (2016 а). Герменевтическая функция перевода и взаимодействие культур, *Национальные культуры в межкультурной коммуникации*, II, 304-312. Минск: «Колоград». ISBN 978-985-7170-20-3 (2)
- Модебадзе, Иринэ (2016 б). Переводческие стратегии рубежа веков: инновации эпохи постмодерна, *The Forth international scientific conference “Language and Literature in the Context of Intercultural Communication”*. Yerevan: “Arman Asmangulyan”, 578-588. ISBN 978-9939-875-00-2
- Модебадзе, Иринэ (2016 d). Руставелиана XXI века: интерпретации эпохи постмодерна, *“ვეფხისტყაოსანი” და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში. თანამედროვე ინტერპრეტაციები*. თბილისი: "საარი", 388-399. ISBN 978-9941-461-57-6
- Модебадзе И.И. (2012 а). «Руствели. Вепхისტყაოსანი». Перевод Георгия Девдариани. *VI International Symposium CONTEMPORARY ISSUES OF LITERARY CRITICISM. Medieval Literary Processes, Europe, Asia, Georgia. Proceedings, I*. Тбилиси: изд-во Института литературы, 90-103.
- Модебадзе, Иринэ (2012 б). Свобода и Необходимость: понимание и интерпретация в переводе, *ლიტერატურული დიებანი, XXXIII*. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 153-170.
- Руставели, Шота (2023). *Витязь в тигровой шкуре. Перевод с грузинского Коте Гулисашвили*, Тбилиси: «CARPE DIEM».
- Руставели, Шота (2022). *Витязь в тигровой шкуре. Перевод с грузинского Юрий Лифшиц*. [https://45parallel.net/shota\\_rustaveli/](https://45parallel.net/shota_rustaveli/).

## References:

- Modebadze, I. (2013). The national language image of the world and the processes of cultural globalization. *Socialinių Mokslų Studijos*, 5 (1), 101-109. ISSN 2029-2236 (print), ISSN 2029-2244 (online)
- Modebadze, I. (2010). “Gaumarjos gagebas!” int’erp’ret’atsiebi temaze: lingvok’ult’urologia, k’ulturatashoris k’omunik’atsia, k’rosk’ult’uruli lingvist’ik’a, k’ult’urata dialogi [“Long Live Understanding! ” Interpretations on the topic: Linguistics, Intercultural Communication, Cross-Cultural Linguistics, Dialogue of Cultures]. *“Sjani”*, 11, 128-135. Tbilisi: Institute of literature press.
- Modebadze, I. (2017). “The Knight in the Panther’s Skin”: spetsifika sovremennykh perevodov poemy Shota Rustaveli na russkiy yazyk [“The Knight in the Panthers Skin”: the Specificity of the Modern Translations of Poem into Russian]. *Contemporary Issues of World Literature and Culture*, 8, 218-230. Yerevan: “Lingva”.
- Modebadze, I. (2016 а). Germenevticheskaya funktsiya perevoda i vzaimodeystviye kul'tur [Hermeneutictranslation function and interaction of cultures]. *National cultures in intercultural communication*, II, 304-312. Minsk: “Kolograd”. ISBN 978-985-7170-20-3 (2)
- Modebadze, Irine (2016 б). Perevodcheskiye strategii rubezha vekov: innovatsii epokhi postmoderna [Translation Strategy at the Turn of the Century: Innovations of the Époque of Postmodern]. *The Forth international scientific conference “Language and Literature in the Context of Intercultural Communication”*. Yerevan, “Arman Asmangulyan”, 578-588. ISBN 978-9939-875-00-2

- Modebadze, Irine (2016 d). Rustaveliana XXI veka: interpretatsii epokhi postmoderna [“The Knight in the Panther’s Skin” at Russian: Interpretations of Postmodern Era]. “*The Knight in the Panther’s Skin*” and its Place in the World Literature. Modern Interpretations. Tbilisi: “Saari”, 388-399. ISBN 978-9941-461-57-6
- Modebadze, I. I. (2012 a): “Rustveli. Vepkhis tkaosani”. Pervod Georgiya Devdariani. [“Rustveli. The Knight in the Panther’s Skin” Translation by Georgiy Devdariani]. *VI International Symposium CONTEMPORARY ISSUES OF LITERARY CRITICISM. Medieval Literary Processes, Europe, Asia, Georgia. Proceedings, I*, 90-103. Tbilisi: Institute of literature press.
- Modebadze, Irine (2012b): Svoboda i Neobkhodimost’: ponimaniye i interpretatsiya v perevode [Perception and Interpretation: Freedom of a Translator and Necessity of a Text]. “*Literary Researches*”, XXXIII, 153-170. Tbilisi: Institute of Literature Press.
- Rustaveli, Shota (2023). *Vityaz’ v tigrovoy shkure. Pervod s gruzinskogo Kote Gulisashvili* [“The Knight in the Panther’s Skin”. Translation from Georgian by Kote Gulisashvili]. Tbilisi: «CARPE DIEM».
- Rustaveli, Shota (2023). *Vityaz’ v tigrovoy shkure. Pervod s gruzinskogo Yuriy Lifshits* [“The Knight in the Panther’s Skin”. Translation from Georgian by Yuri Lifshits]. [https://45parallel.net/shota\\_rustaveli/](https://45parallel.net/shota_rustaveli/).
- Yeremishin, O. (2006). *Aforizmy. Zolotoy fond mudrosti*. (Khans Georg Gadamer) [Aphorisms. Golden fund of wisdom. (Hans Georg Gadamer)]. Moskva: “Prosveshcheniye”. <http://rus-yaz.niv.ru/doc/aphorisms-eremishin/fc/slovar-213.htm#zag-1150>
- “*Vepkhist’q’aosani*” or *t’omad* (1966), [“The Knight in the Panther’s Skin” in two volumes]. Edited by A. Shanidze and A. Baramidze. Tbilisi: “Mecniereba”.